პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 თებერვალი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 42 (14952)

პარტიის მიზანი — ხალხის კეთილდღეობა

ასეთია ქართველი კაცის ფიქრები

ყველა ჩვენგანის საქმე

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროგრამიდან.

პარტიის გეგმები ჩვენი გეგმებია! — ასე აცხადებს დღეს მაღაროელი თუ მეფოლადე, კოლმეურნე თუ პედაგოგი, მშენებელი, ექიმი, მეცნიერი თუ პოეტი, სულ ახლახან პრესაში გამოქვეყნებულ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს რომ ეცნობიან. თვითეული საბჭოთა ადამიანი იწონებს ამ უდიდეს დოკუმენტს და აცხადებს მზადყოფნას — ხრულად გამოიყენოს საკუთარი ძალა, ცოდნა და ენერგია, რომ ფრთა შეესხას ახალი ხუთწლედის წინასწარსახულობებს.

„ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში, — რომ უზრუნველყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“

ახალი გეგმები გვაოცებს თავისი მასშტაბურობით, სიგრცითა და გამეფულობით. იგი დიდი დამაჯერებლობით, რეალური ცოფრებით, მართალი სტრეკონებით გველაპარაკება, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა სამშობლო ხუთი წლის შემდეგ. მასში განსაზღვრულია მეცხრე ხუთწლედის პერსპექტიული ამოცანები, მთელი ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

საქართველოს მშრომელები განსაკუთრებით გულდასმით აკვირდებიან დირექტივების პროექტის იმ ციფრებს, რომლებიც რესპუბლიკის შემდგომი წინსვლის ნაბიჯებს განსაზღვრავენ, რომლებიც ახალ დიდ ხუთწლედში საქართველოს კომუნისტების, ყველა ადამიანის შრომისა და შემოქმედების კონკრეტულ ამოცანებზე მიუთითებენ. ეს ამოცანები კი მეტად რთული და პასუხსაგებია: გავდიოდით სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 39-42 პროცენტით, სწრაფი ტემპებით განვავითაროთ მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა; ავამოქმედოთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეები, აშენდეს მთელი რიგი ახალი სამრეწველო ობიექტები, გადიდდეს მსუბუქი და კვების მრეწველობის სიმძლავრეები; ხუთწლედის ბოლოსათვის ჩაის წარმოება 272 ათას ტონამდე ავიყვანოთ, ბევრად გავზარდოთ ყურძნის, თამბაქოს, ციტრუსების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება; საეკსპლოატაციოდ გადავცეთ ახალი სარწყავი მიწები და დავაშროთ დიდი რაოდენობით გადამეტტენიანებული ფართობები... ეს და სხვა საბრძოლო ამოცანები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტშია მოცემული, უფრო ააზვირთებს რესპუბლიკის მშრომელთა ენერგიას.

ჩვენს პარტიას წესად აქვს, რომ პოლიტიკისა თუ საშეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე მოეთათბიროს ხალხს, მზრუნველობით მოეკიდოს ყოველ საყურადღებო შენიშვნასა და წინადადებას და გაითვალისწინოს კიდეც. აი რატომ არის, რომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ გამოტანილია ფართო, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ახლა სულ უფრო ფართოდ ჩადგება მოახლოებული პარტიული ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვა. პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების კრებებზე. აგრეთვე პარტიულ ორგანოებსა თუ გაზეთების რედაქციებში გაგზავნილ წერილებში ყველა პროფესიის ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, მხარს უჭერენ პარტიის პოლიტიკას, შემოაქვთ კონკრეტული წინადადებანი.

სწორედ ახლა, ამ დღეებში, თვითეული პარტიული კომიტეტის, თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მთავარი და გადაუდებელი საქმე ის არის, რომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განცნობა-შესწავლა ყველგან მაღალ დონეზე მოეწყოს, ისინი ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ თვითეულ მუშას, კოლმეურნეს, თუ მოსამსახურეს, რომ ღრმად ჩასწვდნენ პარტიის წინასწარდასახულობათა პოლიტიკურ და ეკონომიურ არსს, სწორად ესმოდეთ, თუ როგორი უნდა იყოს ამ დიდ საქმეში თვითეული მათგანის შრომითი და შემოქმედებითი წვლილი. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად კი საჭიროა გონივრულად გამოვიყენოთ მასობრივ პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის მთელი მდიდარი არსენალი, ამასთან გამოვნახოთ ამ საქმიანობის ახალი, უფრო ეფექტური ფორმები და მეთოდები.

ქუთაისში, აგრეთვე გორის, თელავის, სენაკის, წითელწყაროსა და სხვა რაიონებში უკვე გაიმართა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტების, პოლიტინფორმატორების და აგიტატორების საინსტრუქტაჟო თათბირები, თუ როგორ მოეწყოს უკეთ საწარმოებსა და მეურნეობებში ყრილობის დირექტივების პროექტის ახსნა-განმარტება. ამ შინაში ზოგან უკვე დაგეგმეს თეორიული კონფერენციისა და კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარებაც.

მაგრამ ამასთან ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიული ორგანიზაციათა პროპაგანდისტულ მუშაობაში მთავარია არა მხოლოდ საუბრების ან ლექციების რაოდენობის დაგეგმვა, არამედ ის, რომ ყოველმხრივ ამაღლდეს პროპაგანდის ხარისხი, უზრუნველყოფილ იქნას მისი ქმედითობა, მიზანსწრაფულობა. ახალი ხუთწლედის გეგმების ახსნა-განმარტება ყველგან ისე უნდა მოეწყოს, რომ იგი მეიდროდ დაუკავშირდეს ცხოვრებას, თვითეული შრომითი კოლექტივის კონკრეტულ ამოცანებს.

სწორედ ამიტომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის ახსნა-განმარტებისათვის უნდა მივიზიდოთ ყველაზე კვალიფიციური ძალები — ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები და სპეციალისტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მასწავლებლებისა, რომლებიც ამ დღეებში გაემგზავრებიან რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების მოსაწყობად.

მეტად მნიშვნელოვანია ამ დღეებში რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, ჩვენი რადიოსა და ტელევიზიის როლი. მათ ცოცხლად და დამაჯერებლად უნდა განუმარტონ ხალხს დირექტივების პროექტის ძირითადი საკითხები, ხშირად მისცენ ტრიბუნა მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს, განაზოგადონ მშრომელთა წინადადებანი, შენიშვნები.

კიდევ ერთი კვირა და გაიმართება საქართველოს კომუნისტთა მორიგი ფორუმი, ხოლო მარტის ბოლოს გაიხსნება სკკპ XXIV ყრილობა, რომელიც, გაითვალისწინებს რა კომუნისტების, ჩვენი ქვეყნის შშრომელების საუბრადღებო შენიშვნებსა და წინადადებებს, დაამტკიცებს დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმის შესახებ საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, იბრძვიან, იღვწიან, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ ჭეშმარიტად ღირსეული საჩუქრები მიიტანონ პარტიულ ყრილობაზე. ახალი საქმეებით ხელდამშვენებულნი შეხვდნენ საქართველოს საიუბილეო თარიღის აღნიშვნის ზეიმს.

ახალმა ხუთწლედმა კარგი სტარტი აიღო. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გაუალონ ორგანიზატორული და მასობრივ პოლიტიკური მუშაობა, რაც იმის საუკეთესო გარანტია იქნება, რომ თვითეულმა ადამიანმა სწორად მონახოს თავისი ადგილი მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში საკუთარი წვლილის შესატანად.

მომავლის მეგზური

კაცი ასეა, იმას, რაც უკვე შექმნა, გააკეთა, წარსულს აბარებს, მაგრამ არ ივიწყებს, უკვე იმ დღიდანვე, იმ წუთიდანვე მომავლზე ფიქრობს. ყველაფერი, ეს ამინდის ცვალებადობას მაგონებს, უფრო ის გვინტერესებს ხალმე დარი იქნება თუ არა, მომავალში მზე გაგვინათებს თუ ღრუბლებს უნდა ველოდეთ. ასეთია ცხოვრების კანონი და ამიტომაც ადამიანი მუდამ მომავლისაკენ იცქირება.

დღევანდელი ჩვენი მზერა და ფიქრიც მომავალს ეკუთვნის, მომავალს, რომელიც ოცდამეოთხე ყრილობის დირექტივების პროექტმა უფრო ხელშესახები, ნათელი და მკაფიო გახადა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს არის წიგნი — მეგზური, რომელიც გვაწყვიტლის, თუ რა გზით უნდა ვიაროთ მომავალ ხუთწლედში, წიგნი, რომელიც სწერია ადამიანის კეთილდღეობის, სულიერი სისპეტაკის, მშვიდობისა და პატიოსნების შესახებ.

ჩვენ, ქართველ მწერლებს, ამ ხუთწლედში დიდი და საპატიო მისია გვაკისრია, უნდა შევქმნათ ამ შინაარსიანი, მრავალმხრივი და ღრმა ცხოვრების ამსახველი რეალისტური ნაწარმოებები და ამით ხარკი გადავუხადოთ ახალი ცხოვრების მშენებელ საბჭოთა ადამიანს. ეს მწერლის უპირველესი ამოცანაა.

დემნა შენგელაია,
მწერალი-აკადემიკოსი.

ნათელი ჰორიზონტები

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში მოცემულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი, 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმითა და ყურადღებით განიხილავს. ეს პროექტი ხომ ჩვენი მომავალი ცხოვრების ნათელი პერსპექტივაა, ჩვენი კეთილდღეობის ნიშნანსვეტია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კოლექტივმა მოიწონა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი როგორც შემდგომი მუშაობის, ჩვენი ცხოვრების საუკეთესო გეგმა.

ჩვენი დიადი სამშობლოს ეს მეცხრე ხუთწლიანი გეგმა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ამ ხუთი წლის მანძილზე ყველა ღონისძიებით განვითარდება ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევა და უფრო სწრაფად დაინერგება მისი შედეგები სახალხო მეურნეობაში. სხვა მეცნიერებებს შორის უზრუნველყოფილი იქნება ქიმიურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარება, ახალი პოლიმერული და არაორგანული მასალების შექმნის მეცნიერული საფუძვლების სრულყოფის, მაღალეფექტიანი ქიმიურ-ტექნოლოგიური და ელექტროქიმიური პროცესებისა და განსაკუთრებით ახალ ნივთიერებათა მიღების ეკონომიური მეთოდები. ჩვენს რესპუბლიკაში ახალი ხუთწლედით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის წარმოების, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის, ელექტროენერგეტიკისა და სხვა დარგების შემდგომი განვითარება.

ჩვენ მზად ვართ მთელი ჩვენი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გეგმების განუხრელ შესრულებას.

გ. ციციშვილი,
აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

გეპირდებიან ახალგაზრდები

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ უდიდესი ინტერესით შეხვდნენ წინანდლის ლენინის ორდენოსანი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მბრძოლელები. მეცხრე ხუთწლედი ახალ-ახალ წარმატებებს გვპირდება, ამბატის სოფლის ბარაქა, თვითეული ოჯახის ბედნიერება და სიხარული.

ხუთწლედის პერიოდში წინანდალს დაამშვენებს ახალი ადმინისტრაციული შენობა, ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ახალი სტადიონი, ახალგაზრდობის სახლი. წინანდალი ქალაქის იერს მიიღებს.

სოფლის ახალგაზრდობას კარგად ესმის, რომ ყველაფერი ეს მშრომელთა მარჯვენამ უნდა შექმნას და დამოკიდებულია მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებაზე. ამიტომ იცო, რომ დირექტივების პროექტის გაეცნობისთანავე გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები ვიკისრეთ.

მევენახეობის კომპლექსურმა ბრიგადა კვეტარზე 46 ცენტნერი ყურძნის ნაცვლად მიიღეს 65 ცენტნერს, არსებული მექანიზატორთა ორივე ბრიგადა 380 კვეტარ ვენახში დროულად ჩაატარეს მექანიზებულ სამუშაოებს, 10-12 პრომენტით დაზოგავს საწვავ-საცხებ მასალებს, მნიშვნელოვნად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს თვითღირებულებას, სოფლის ყველა ახალგაზრდა ჩაებმება ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ს. მეგუთნიშვილი,
თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

აჭარის ასსრ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების მშრომელებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების მშრომელებს სტიქიური უბედურების — თოვისა და ზვავების გამო, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი.

სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებსა და ნათესავებს მათთვის ძვირფასი და მახლობელი ადამიანების დაკარგვის გამო.

საქართველოს სსრ მთავრობა ახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ და დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ჩვენი ხვალინდელი დღე

ასე ამაღლდება ხალხის ცხოვრების დონე ახალ ხუთწლედში

ხუთწლეულში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გაადიდოთ დაახლოებით 30 პროცენტით.., მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 20-22 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში საშუალოდ 30-35 პროცენტით.

(სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტიდან).

ეარტიის ეს წინასწარდასახულობა მიღწეულ უნდა იქნას საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი ზრდის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების საფუძველზე. უზრუნველყოფილ იქნება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების შემდგომი განვითარება. ხუთწლეულის განძილზე 40 პროცენტით გადიდდება უფასო მატერიალურ სიკეთეთა და მომსახურების, აგრეთვე ამ ფონდებიდან მოსახლეობისადმი ფულადი მისაცემლების მოცულობა. განხორციელდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ საბჭოთა ქალს — დედას შეექმნას შრომისა და ყოფაცხოვრების საუკეთესო პირობები.

● სავალო საქონელბრუნვა გადიდდეს 1,4-ჯერ.

● ამენდება 565-575 მილიონ კვ. მეტრი სამრთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ახალ ხუთწლედში ძირითადად დამთავრდება ქალაქის მოსახლეობის უზრუნველყოფა ცენტრალიზებული წყალმომარაგებით, აშენდება წყალსადენები 700 ქალაქსა და მუშათა დაბაში. ამასთან საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა მთლიანად გადიდდება სულ ცოტა ერთიორად.

დიდი ღონისძიებები განხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის, ინვალიდთა და ღრმა მოხუცებულთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.



სწავლობენ ხელმძღვანელი კადრები

18 თებერვალს თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკთა გადასამზადებელ მუდმივმოქმედ კურსებზე დამთავრდა მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთთვიანი მეცადინეობა გაიარეს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების განყოფილებათა გამგეებმა და ინსტრუქტორებმა, მხსენი სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა განთავისუფლებულმა მდივნებმა, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა.

მეცადინეობის პერიოდში კურსების მსმენელთათვის წაკითხული იქნა ლექციები და მოხსენებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის ძირითად საკითხებზე, მეცნიერული კომუნიზმის, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საფუძვლებზე. სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხთა შესწავლას. მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობანიც.

კურსების მუშაობის შედეგები შეიჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. რ. ვ. მეტრეველმა. (საქდესი).

მთავრდება მეოთხე მთვარის დღე

ფორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრის, 17 თებერვალი. (საქდესი). ღღეს 3 საათიდან და 20 წუთიდან 9 საათამდე მოსკოვის დროით მოეწყო კავშირის სეანსი. სეანსის დროს იკვლევდნენ კრატერს, რომელიც მთვარემავალი 16 თებერვალს შეკიდა. წინასწარი შეფასებით, კრატერის დიამეტრი აღემატება 0,5 კილომეტრს, მისი ბორცვის სიმაღლე შეადგენს დაახლოებით ჯერს მეტრს.

ოვითმავალი აპარატის მოძრაობის დროს კრატერში მოეწყო გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, აგრეთვე იმ ქანების ქიმიური შედგენილობის გაზომვა, რომლებისგანაც წარმომშობილია გზაზე შეხვედრილი ქვები. მოძრაობის სეანსის დასასრულს მთვარემავალი ავიდა კრატერის ბორცვზე. საიდანაც ტელეფოტომეტრების საშუალებით მამოისილა ადგილმდებარეობა სტერეოსკოპული პანორამების მიღების მიზნით.

კავშირის შემდეგი სეანსი 18 თებერვალს მოეწყობა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სსრ კავშირის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის **დაჯილდოვდეს:**

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

მიფრინავს „კოსმოს-395“

18 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-395“. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქდესი).

პარიზის კომუნის ასი წლისთავი

„საბჭოთა ხელისუფლება“ არის პროლეტარიატის დიქტატურის განვითარების მეორე მსოფლიო-ისტორიული ნაბიჯი ანუ ეტაპი. პირველი ნაბიჯი იყო „პარიზის კომუნა“ — წერდა ვ. ი. ლენინი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „...კომუნამ შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო, პროლეტარული სახელმწიფო“. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარიატის დიქტატურის ამ პირველ გამოცდილებას მუშათა და კომუნისტური მოძრაობის განვითარებისათვის, ილაპარაკეს სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებმა, რომელმაც მუშაობა დაამთავრა 17 თებერვალს მოსკოვში. იგი მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტმა პარიზის კომუნის ასი წლისთავის გამო, რომელიც ახლა ფართოდ აღინიშნება მთელ მსოფლიოში.

მეცნიერთა სახლში შეკრებილ საბჭოთა და საზღვარგარეთელ ისტორიკოსთა წინაშე გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი შარლ დიუკლო. იგი დაწვრილებით შეეხო 1871 წლის გაზაფხულის რევოლუციურ მოვლენებს პარიზში და კომუნის 72 დღეს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელიც ვ. ი. ლენინმა გამარჯვებით დაგვირგვინა, პარიზის კომუნის პირველი რევანში გახდა.

ფრანგი კომუნისტები, თქვა მომხსენებელმა, დიდ პატივს სცემენ ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საფრანგეთის კომპარტიის შექმნაში.

შემდეგ მოისმინეს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ვ. ზაგლადინის მოხსენება „პარიზის კომუნა და თანამედროვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობა“.

კონფერენციაზე საინფორმაციო მოხსენებანი გააკეთეს საბჭოთა და საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა. მან ბრეშამ (საფრანგეთი), იასუშ ემნიცმა (უნგრეთი), ხერსტ ბარტელმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ემილ ზდრავამ (ჩეხოსლოვაკია), ი. ა. ბაბმა (სსრ კავშირი) და სხვებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარიზის კომუნამ მოგვცა რევოლუციური გამბედაობის, მამაცობის, მასების შემოქმედებითი ინიციატივის შესანიშნავი ნიმუშები. მან გაკვალა ახალი გზა, რომლითაც შემდეგმა თაობებმა გაიარეს.

პატივს ვცემთ რა გმირ პარიზელ მებრძოლებს და მათს ისტორიულ მიღწევებს, აღნიშნეს ორატორებმა, ჩვენ ამას უწინარეს ყოვლისა იმიტომ მივმართავთ, რომ მათ კაცობრიობის ისტორიაში პირველად უჩვენეს მუშათა კლასს ექსპლოატაციისა და ჩაგვრის სისტემის ლიკვიდაციის გზა. კომუნისტები და ყველა მშრომელი პატივს სცემს პარიზის კომუნის ალდერძს, დიდი ოქტომბრის გმირებს.

(საქდესი).

ახლახან გამოიცა

გამოვიდა ოქმებისა და დოკუმენტების კრებული პირველი ინტერნაციონალის ჰაგის კონგრესისა, რომელიც 1872 წლის 2-7 სექტემბერს გაიმართა. წიგნი მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

კრებულში შეტანილი დოკუმენტების დიდი ნაწილი იბეჭდება პირველად იმ ორიგინალების მიხედვით, რომლებიც ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში. განსაკუთრებულ განყოფილებაში — „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ხელნაწერთა მემკვიდრეობა“ — მოთავსებულია მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა რამდენიმე შავი ხელნაწერი. ჰაგის კონგრესი მიმდინარეობდა პარიზის კომუნის ნიშნით. მან აღნიშნა პირველი ინტერნაციონალის პროგრამაში მარქსიზმის პრინციპების გამარჯვება.

კრებულის მასალები ისტორიულად საინტერესოა, არის იმ გამოცდილების ჩორცშესხმა, რომელიც ძვირფასია თანამედროვე მუშათა და კომუნისტური მოძრაობის პრაქტიკისთვისაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1971 წლის 17 თებერვალს მძიმე და ხანგრძლივი ავადყოფობის შემდეგ 78 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ფევრი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი

ლეონიდ სერგეს-ძე სობოლევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

განვითარებული დირექტივების პროექტს

საქართველო ახალ ხუთწლედში

ფთამეგონებელი გეგმები

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხალხი უდიდესი ინტერესით ეცნობა სსკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში მოცემულია ჩვენი ხვალინდელი დღის ნათელი პერსპექტივები, სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ეკონომიკის განვითარების გრანდიოზული გეგმები.

ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობა, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და კაპიტალური მშენებლობის განვითარება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

დირექტივების პროექტში აღნიშნულია, რომ მომდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. ეს კომბინატის კოლექტივს დიდი ხიამაყის გრძნობას ანიჭებს და აღაფრთოვანებს შემდგომი წარმატებების მოპოვებისათვის.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ კომბინატზე, საკმარისია აღინიშნოს, რომ მის მშენებლობაზე დაიხარჯება ათობით მილიონი მანეთი, დღეისათვის კი ათვისებულია 30 მილიონი მანეთი.

მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატი იქნება რესპუბლიკის სიამაყე — ფერადი მეტალურგიის ცენტრი. კომბინატის მშენებლობა დაიწყო 1959 წლის ბოლოს. პირველი რიგი გაშვებულ უნდა იქნას 1973 წელს, ხოლო მეორე რიგი — 1975 წლისათვის.

როგორც გეოლოგებმა დაადასტურეს, ბოლნისის რაიონის კაზარეთის მიდამოებში, რასაც ახლა მადნეულს ეუწოდებთ, დიდი რაოდენობით მოიპოვება წიაღისეული სამდიდრეები. აქედან პირველ რიგში აღსანიშნავია სპილენძი, ტყვია, თუთია, ბარიტი და სხვა ძვირფასი წიაღისეული.

ამჟამად კომბინატის მშენებლობისათვის შექმნილია მძლავრი სამშენებელო ბაზა, მუშაობს მდიდარი ტექნიკა, მშენებლობას ეწევა როგორც „საქმახტმშენის“ ტრესტი, ისე თვით კომბინატი. ასე, მაგალითად, გასულ ხუთწლედში მოიჯარადრეების მიერ შესრულებულ იქნა 5 მილიონი მანეთის სამუშაოები, ხოლო კომბინატის ძალებით — 7.464 ათასი მანეთისა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ახალ ხუთწლედში, როცა უკვე გათვალისწინებულია კომბინატის საექსპლოატაციოდ გადაცემა, „საქმახტმშენის“ ტრესტმა მკვეთრად უნდა გარდაქმნას მუშაობა, დაიჩქაროს მშენებლობის ტემპი. მრავალი საზრუნავი გვექნება ჩვენც, კომბინატის კოლექტივს. დარჩენილი თანხის ნახევარი კომბინატმა საკუთარი ძალებით უნდა აითვისოს.

ამჟამად კომბინატის კოლექტივი საქართველოს სსრ აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტთან, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან და ლენინგრადის ინსტიტუტ „ვიბრონიკელთან“ ერთად აწარმოებს სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს სპილენძის ფხვნილის მისაღებად. ამ მხრივ მოპოვებულია პირველი გარკვეული შედეგები. **საცდელ წარმოებაში ლაბორატორიული წესით მიღებულ პროდუქცია, ეგრეთწოდებული სპილენძის ფხვნილი, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტს.** ეს თავისთავად აყენებს საკითხს მადნეულში ვაწარმოოთ არა მარტო მოპოვებული სპილენძის კონცენტრაციული გამდიდრება, არამედ აქვე აშენდეს მეტალურგიული ქარხნები, რომლებიც სპილენძის კონცენტრატიდან ადგილზეევე მიიღებენ სპილენძს.

აი სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ მადნეული ჩვენი რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის მომავალი ცენტრი იქნება. და განა მარტო ფერადი მეტალურგია? აქ პერსპექტივაში გათვალისწინებულია ქიმიური მრეწველობის განვითარებაც, რადგანაც მადნეულის წიაღისეულები სამდიდრეები სწორად ამის უბადლო საშუალებას იძლევა. ამასთან მომავალში აქ დაგეგმილია მძლავრი აგურის ქარხნის მშენებლობაც.

ამჯერად მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ქალაქი მადნეული აშენდეს 25 ათასი მცხოვრებისათვის, შემდგომ კი აქ მოსახლეობის რაოდენობა 100 ათასამდე გაიზრდება. მაშასადამე, გვექნება დაახლოებით ისეთი ახალი ქალაქი, როგორიც დღეს რუსთავია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კომბინატის პირველი რიგი საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1973 წლის ბოლოსათვის. ეს ნიშნავს დამთავრდეს კარიერების, გამამდიდრებელი კომბინატის მთავარი კორპუსის, აგრეთვე მსხვილი დამტვრევის, წვრილი და საშუალო დამტვრევის კორპუსების, რეაგენტული მეურნეობის, ფილტრაციის კორპუსის, კონცენტრატის გამშრობისა და სხვა დამხმარე საამქროების მშენებლობა. აღნიშნული ობიექტების მშენებლობა ახლა, შეიძლება ითქვას, დამკვრელური ტემპით მიმდინარეობს და არის იმის გარანტიაც, რომ პირველი რიგი დროულად იქნება ამოქმედებული. ერთ-ერთ პრობლემას დღეისათვის წარმოადგენს დმანისის რაიონიდან ახალი წყალსადენის გამოყვანა. მის მშენებლობას წელს დავიწყებთ. წყალსადენის სიგრძე 38 კილომეტრი იქნება, დებიტი კი—46.210 კუბური მეტრი წყალი დღე-ღამეში. ეს რაოდენობა დაკმაყოფილებს როგორც ჩვენს მოთხოვნილებას, ისე ბოლნისის რაიონული ცენტრის მოთხოვნილებას სასმელ წყალზე.

კომბინატის კოლექტივის საქმიანობაში ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ აქ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დახმარებით აშენებულია ავტომეგრეთწოდებულ ავტოკლავური გამოტუტვის საშუალებით ვიღებთ სპილენძის ხსნარს. ეს უდავოდ დიდი საქმეა, რადგანაც სპილენძის ხსნარისაგან ხდება სწორედ თვით სპილენძის მიღება.

როგორც ცნობილია, **კომბინატის მშენებლობა უნდა დამთავრდეს ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის. მაშასადამე, ამ დროისათვის გვექნება დასრულებული ხახის ქალაქიც,** მაგრამ დღეისათვისაც აქ ბევრი რამ არის გაკეთებული. გაყვანილია რკინიგზა მარნეულიმადნეული. აშენებულია მიკრორაიონი, რომლის საცხოვრებელი ფართობი (ორ, სამ, ოთხ და ხუთსართულიანი სახლები) 25.000 კვადრატული მეტრით განისაზღვრება. მიკრორაიონს აქვს თავისი კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საჭირო ობიექტი.

მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის კოლექტივმა, რომელიც დიდი ინტერესით გაეცნო სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს, გადაწყვეტა ახალი ენერგიით გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება და უზრუნველყოს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულება.

ᲤᲐᲛᲘᲠᲐ ᲜᲐᲛᲧᲔᲘᲐ,
მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი.

ᲐᲮᲐᲚ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲗ ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲒᲐᲛᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

(სკკპ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲓᲐᲜ).

გვექნება ფერადი მეტალურგია

ᲑᲣᲜᲘ, 18 თებერვალს ჩვენი რედაქციის თანამშრომელი ნ. ᲯᲐᲜᲯᲚᲐᲕᲐ კოჩუბეიში ტელეფონით დაუკავშირდა ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველოს უფროსს ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ და სთხოვა ეამბნა პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვის შესახებ და გადმოეცა მეცხვარეთა ფიქრები, წინადადებანი — თუ როგორ შეხვდნენ ამ დიდ დოკუმენტს და როგორ მუშაობენ ამ დღეებში ცხვრის სანიმუშოდ გამოზამთრებისა და დოლის წარმატებით ჩატარებისათვის.

ᲛᲔᲠᲘ დღეა, რაც აქ მივიღეთ გაზეთები, —თქვა მიხეილ გელაშვილმა,—რომლებშიც გამოქვეყნებულია მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი. აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, ხელმძღვანელი მუშაკები ახლა გულდასმით აცნობენ მეცხვარეებს დირექტივების პროექტს. პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს მეცხვარეები მოწონებით შეხვდნენ, განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება იმ პუნქტებზე, სადაც ნათლად არის ნაჩვენები მეცხოველეობის შემდგომი განვითარების გზები. კერძოდ, პროექტში ნათქვამია: **„მნიშვნელოვნად გავადიდოთ ცხვრისა და თხის სულადობა და ავამაღლოთ მათი პროდუქტიულობა, განსაკუთრებით მატყლისა და ყარაკულის სახაქონლო წარმოების, აგრეთვე სახორცე და სატყაპუუმე-საქურქე მეცხვარეობის რაიონებსა და მეურნეობებში“.**

ამ დღეებში მეცხვარეები გმირულად შრომობენ. თებერვალში ზამთარმა იძალა. თოვლის საფარმა 30 სანტიმეტრს მიაღწია. ახლა კი 20 სანტიმეტრია. ყინვებმა შედარებით დაიკლო 18-20 გრადუსიდან 8 გრადუსამდე.

ჩვენს საძოვრებზე იზამთრებს დაახლოებით 350 ათასი ცხვარი. **უკვე დაიწყო მეტად პასუხსაგები პერიოდი — დოლი.** წელს დოლში ჩადგება 130.000 დედა-ცხვარი. მიღებულია პირველი ნამატი— 10.000-ზე მეტი ბატკანი. დიდი ყურადღება (თავმჯდომარე ივ. ჩოფიკაშვილი) დოლი წარმატებით მიმდინარეობს. კოლმეურნეთა დასახმარებლად ჩამოვიდა ასობით მუშახელი. საძოვრებზე ჩამოვიდნენ პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ფირანიშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ფადიშვილი და სხვები. ამ დღეებში აქ ჩამოვიდნენ აგრეთვე დუშეთის, ლენინგორისა და სხვა რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები და დამხმარე მუშახელი. სულ საძოვრებზე დასახმარებლად ჩამოსულია 3.000-ზე მეტი კაცი.

დოლისათვის სანიმუშოდ მოემზადნენ ყაზბეგ. დატიევისა და კ. კოლკოვის მეთაურობით. დოლისათვის კარგად მოემზადნენ დუშეთის, ლენინგორის რაიონების კოლმეურნეობათა ფერმები.

— მართალია ძნელი სამუშაოები მოელით მეცხვარეებს, — განაგრძო საუბარი მ. გელაშვილმა, — მაგრამ ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ მეცხვარეებმა ახალი გამარჯვება მოიპოვონ. აქვთ კეთილმოწყობილი ფერმები, ფარეხები, მეცხვარეთა საცხოვრებელი ბინები. ცხვრის მთელი სულადობისათვის საკმარისად არის უხეში (თივა) და კომბინირებული საკვები.

აღსანიშნავია ისიც, რომ საძოვრების სამმართველოს მუშაკები მუდმივად არიან ადგილებზე, სადაც წყდება მეცხვარეთა წარმატების ბედი. მათ დიდ დახმარებას უწევენ მთავარი ზოოტექნიკოსი ა. კობაიძე და მთავარი ვეტექიმი გ. მამაჯიანი. ამასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მწყემსთა ჯანმრთელობის დაცვას. კოჩუბეიში კარგად მუშაობს საავადმყოფოს კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი მუშაკი, მთავარი ექიმი ალ. მარსაგიშვილი. ამ დღეებში სერიოზულ მუშაობას ეწევა ვეტლაბორატორია (გამგე გ. არაბული).

ასეთ დაძაბულ პერიოდში მწყემსთა კულტურულ მომსახურებასაც არ იკარგებენ. ადგილებზე იმართება კონცერტები, კინოსეანსები.

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის გაცნობასთან დაკავშირებით ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მომუშავე მეცხვარეებმა ვალდებულება იკისრეს: **სანიმუშოდ გამოზამთრონ ცხვრის მთელი სულადობა, წარმატებით დაამთავრონ დიდმნიშვნელოვანი კამპანია — დოლი. მიღებული ნამატი შეინარჩუნონ სულ მცირე 95 პროცენტით, ხუთწლედის პირველ წელს გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცენ ხორცი, მატყლი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.**

სადაც ცხვარი იზამთრებს

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲧᲘᲖᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝ ᲡᲐᲥᲝᲕᲠᲔᲑᲖᲔ

რაოდენობით ჰყავთ დასადოლებელი ცხვრები დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, თიანეთის რაიონებს. ყველაზე ადრე დოლი დაიწყო თიანეთის მეცხვარეობის საბჭოს ფერმებში. აქ რამდენიმე დღეში მიღებულია 4.000 ბატკანი, კიდევ მოელიან 23.000-ზე მეტს.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ყაზბეგის რაიონის სიონის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ფ. გოგიშვილი) ფერმებში. აქ უკვე ჰყავთ 1.500-ზე მეტი ახალშიღებული ბატკანი. ყაზბეგის კოლმეურნეობის ბრიგადის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეები. პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს დიადი თარიღების ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. სანიმუშოდ შრომობენ ამ კოლმეურნეობის მეცხვარეები, კერძოდ, ბრიგადები, რომლებსაც კ. ქავთარაშვილი და ო. ცუდაშვილი ხელმძღვანელობენ.

ასევე ენერგიულად შრომობენ კობის კოლმეურნეობის ბრიგადები.



ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲓᲐᲣᲚᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ.

**ᲛᲔᲠᲕᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲐᲭᲕᲜᲔᲑᲚᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲐ ᲛᲘᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ

გრანდიოზული პერსპექტივები

მსოფლიო პრესა კვლავ ფართოდ განმარტავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს.

ბერლინი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა ასახავს საბჭოთა კავშირში კომუნიტური მშენებლობის გიგანტურ მასშტაბს, ნათქვამია ყოველკვირეულის „ხორიცონტის“ მოწინავე სტატიაში, საბჭოთა ახალი ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მნიშვნელოვნად ამაღლოს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე სულ უფრო მზარდი წარმოების საფუძველზე, ნათქვამია სტატიაში.

ბრატისლავა. სლოვაკიის გაზეთებმა დაბეჭდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის შინაარსი. გაზეთი „პრავდა“ “მოჰყავს საბჭოთა ახალი ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი დებულებანი და ციფრობრივი მაჩვენებლები, ამასთან განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავალი ხუთწლედის მანძილზე გაიზრდება 37-40 პროცენტით, ხოლო რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — დაახლოებით 30 პროცენტით.

პავანა. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების უზრუნველყოფა წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის საფუძველზე, მისი ეფექტიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადიდება შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარება— აი სსრ კავშირის ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მიზანი, წერს გაზეთი „გრანმა“.

ნიუ-იორკი. ბურჟუაზიული გაზეთი „ნიუს დეი“ აღნიშნავს, რომ მეცხრე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, აგრეთვე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. „ნიუს დეი“ უურადღებას მიაპყრობს აგრეთვე, იმას რომ სსრ კავშირში მოსახლეობის რეალური შემოსავალი დაახლოებით 30 პროცენტით გაიზრდება.

პარიზი. „მოსკოვში გამოქვეყნებული დირექტივების პროექტის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია, — წერს გაზეთი „მონდი“, ის მნიშვნელობა რომელიც საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას ეძლევა“.

საბჭოთა კავშირში, განაგრძობს გაზეთი, უკვე განახორციელეს ღონისძიებანი დაგეგმვისა და ეკონომიკის ხელმძღვანელობის მეცნიერული მეთოდების დანერგვისათვის. „მაგრამ არასდროს არ ყოფილა ესოდენ პროგრამირებული ეკონომიკის შექმნის იდეა ასე დაწვრილებით ჩამოყალიბებული ოფიციალურ დოკუმენტში“. გაზეთი „ფრანს-სუარი“ მკითხველებს შეახსენებს გიგანტურ პროგრესს სსრ კავშირის ეკონომიკაში 1917 წლის შემდგომ პერიოდში.

ბონი. „ამაღლდება საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრების დონე“ — ასეთი სათაურით გაზეთი „შტუდჰარტერ ციტუნგი“ აშუქებს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის ძირითად დებულებებს. საბჭოთა ახალი ხუთწლედი, აღნიშნავს გაზეთი, ითვალისწინებს წარმოების განვითარების სწრაფ ტემპს, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს — შრომისნაყოფიერების ზრდის დაჩქარებას. გაზეთი განაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ გეგმა შეიცავს სოციალური ღონისძიებების, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ამაღლების დონის ფართო პროგრამას.

რიო.დე-ჟანეირო. „სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების ახალი გეგმა ითვალისწინებს მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას საბჭოთა ხალხისათვის“. ასეთი სათაურით დაბეჭდა გაზეთმა „გლობუმ“ პირველ გვერდზე ცნობა XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ. გაზეთი ხაზს უსვამს რომ მეცხრე ხუთწლიანი გეგმა მიზნად ისახავს მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოების გადიდებას. (საკდესი).

ინდოჩინეთის ფრონტებზე

მარიონეტებს ზარალი მოსდით პატრიოტთა წარმატებები

პარიზი. 18 თებერვალი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტები სულ უფრო შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ საიგონის მარიონეტულ არმიას და ზღუდავენ ინტერვენტთა მოქმედებას № 9 გზატკეცილის ვიწრო ფრონტზე. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობებით თუ ვიმსჯელთ, აგრესორთა მეწინავე ქვეგანაყოფებს კარგად ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიეს პატრიოტულმა ძალებმა მუონგფალანის რაიონში. საიგონის ჯარებს შეფერხებით ამარაგებენ საწვავითა და ტყვია-წამლით და მათ დიდი ზარალი მოსდით. მარიონეტული არმიის დასახმარებლად ამერიკის სარდლობამ სასწრაფოდ გაგზავნა სამი ათასამდე დაქირავებული.

ამ დაქირავებულებს, რომლებმაც მომზადება გაიარეს ამერიკის შეერთებული შტატების „სპეციალური ძალების“ ბანაკებში და რომლებსაც ხელმძღვანელობენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები, იყენებენ პატრიოტთა ზურგში დივერსიული ოპერაციებისათვის.

კანი. 18 თებერვალი. (საკდესი). 14 თებერვალს ლაოსის განთავისუფლების სახალხო არმიის მებრძოლებმა ბეპონგ-ტამიისა და კრატიეს პროვინციებში მწყობრიდან გამოიყვანეს საიგონის ჯარების 1.800-ზე მეტი ჯარისკაცი, მოსპეს მოწინააღმდეგის 150 სამხედრო მანქანა.

ბანგკოკი. 18 თებერვალი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტებმა სულ ცოტა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ საიგონის მარიონეტულ არმიას და ზღუდავენ ინტერვენტთა მოქმედებას № 9 გზატკეცილის ვიწრო ფრონტზე. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობებით თუ ვიმსჯელთ, აგრესორთა მეწინავე ქვეგანაყოფებს კარგად ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიეს პატრიოტულმა ძალებმა მუონგფალანის რაიონში. საიგონის ჯარებს შეფერხებით ამარაგებენ საწვავითა და ტყვია-წამლით და მათ დიდი ზარალი მოსდით. მარიონეტული არმიის დასახმარებლად ამერიკის სარდლობამ სასწრაფოდ გაგზავნა სამი ათასამდე დაქირავებული.

ამ დაქირავებულებს, რომლებმაც მომზადება გაიარეს ამერიკის შეერთებული შტატების „სპეციალური ძალების“ ბანაკებში და რომლებსაც ხელმძღვანელობენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები, იყენებენ პატრიოტთა ზურგში დივერსიული ოპერაციებისათვის.

კანი. 18 თებერვალი. (საკდესი). 14 თებერვალს ლაოსის განთავისუფლების სახალხო არმიის მებრძოლებმა ბეპონგ-ტამიისა და კრატიეს პროვინციებში მწყობრიდან გამოიყვანეს საიგონის ჯარების 1.800-ზე მეტი ჯარისკაცი, მოსპეს მოწინააღმდეგის 3 ტანკი, ჩამოაგდეს ერთი ვერტმფრინავი. 15 თებერვალს ამერიკა-საიგონის ინტერვენტებმა სამხრეთ ლაოსში დაკარგეს 15 ვერტმფრინავი.

თებერვლის პირველი კვირის მანძილზე სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა შეუტიეს მტრის 100-ზე მეტ გამაგრებულ პუნქტს, მათ შორის 3 აეროდრომს ცენტრალურ ჩუნბოში (ცენტრალური ვიეტნამი). განთავისუფლების პრესის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკა-საიგონის ჯარებს დაუსოცეს და დაუტრეს 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი.

მითხოს პროვინციაში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დახოცეს მოწინააღმდეგის 440 ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურეს 15 სამხედრო მანქანა, აფეთქეს 2 ტყვია-წამლის საწყობი. საიგონის არმიის დანაკარგებმა კამაუს პროვინციაში ამ პერიოდის მანძილზე 500 კაცი შეადგინა.

ქმერის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ 4-11 თებერვალს კამბოჯის პატრიოტულმა ძალებმა კომპონგტიამისა და კრატიეს პროვინციებში მწყობრიდან გამოიყვანეს საიგონის ჯარების 1.800-ზე მეტი ჯარისკაცი, მოსპეს მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ჯარისკაცი, მოსპეს 3 ტანკი, ჩამოაგდეს ერთი ვერტმფრინავი. 15 თებერვალს ამერიკა-საიგონის ინტერვენტებმა სამხრეთ ლაოსში დაკარგეს 15 ვერტმფრინავი.

ინდოჩინეთის ფრონტებზე

მარიონეტებს ზარალი მოსდით პატრიოტთა წარმატებები

ფაქტები

● „ბალაბერის საერთაშორისო პრემიის“ ჟიურომ ასტრონავტიკაში 1970 წლის ეს პრემია მიანიჭა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. ჟიურის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას ეს პრემია მიენიჭა „ლუნა-16“ შექმნისა და ფრენასთან დაკავშირებით, მიღწეული წარმატებებისათვის და იმ პერსპექტივებთან დაკავშირებით, რომლებიც დაისახა ამ ფრენის შედეგად მთვარისა და მზის სისტემის სხვა პლანეტების კვლევაში.

● სირიის არაბთა რესპუბლიკის დროებითი კონსტიტუციის შესაბამისად სახელმწიფოს მეთაურის დეკრეტით დამტკიცდა სირიის არაბთა რესპუბლიკის სახალხო საბჭოს შემადგენლობა. სახალხო საბჭო განახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციებს. ახლანდელ ეტაპზე საბჭოს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა სირიის არაბთა რესპუბლიკის მუდმივი კონსტიტუციის შემუშავება.

● ისრაელის მიერ ოკუპირებული ღაზის არაბული სექტორიდან მოდის ცნობები, რომ ისრაელი დამპყრობლები განაგრძობენ ტეროროსა და ძალადობის აქტებს მშვიდობიანი არაბი მოსახლეობის მიმართ, თვითნებურად აპატიმრებენ, აწამებენ და სცემენ არან პატრიოტებს. ოკუპანტების მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპყრობილეებში დამწყვდეულია ათასობით ხრულიად უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები.

● ვარნემუნდის (გდრ) გემსაშენ „ვარნოვ-ვერფტში“ გაიმართა საბჭოთა კავშირის შეკვეთით აგებული 13.500 ტონა წყალწყვის სატვირთო გემის წყალში ჩაშვების საზეიმო ცერემონია. გემს მიენიჭა ინგლისის მუშათა კლასის თვალსაჩინო მოღვაწის ჰარი პოლიტის სახელი.

სკკდესი-ფრანს პრესი-რეიტერი.

ბონი

„საერთო გაზრის“ ნაყოფი

18 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას დიდი ზარალი აქვს „საერთო ბაზრის“ აგრარული პოლიტიკის გამო — ეს ხაზგასმით აღნიშნეს დასავლეთ გერმანიის გლეხთა კავშირის ხელმძღვანელებმა, მრავალ მიტინგსა და კრებაზე, რომლებიც სხვადასხვა ქალაქში გაიმართა.

როგორც გაზეთი „დოიჩე ფოლკსციტუნგი“ წერს, უახლოესი წლების მანძილზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაჩანაგდება მრავალი ათასი წვრილი გლეხური მეურნეობა, მილიონზე მეტი გლეხი იძულებული იქნება საშოვარზე წავიდეს მსხვილ ქალაქებში.

ბონი

„საერთო გაზრის“ ნაყოფი

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

ბუქარესტი, 18 თებერვალი. (საკდესი). 18 თებერვალს ბუქარესტში გაიხსნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი.

თათბირში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა მინისტრები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. ბაშევი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — �eპეტერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ო. ვინცერი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ს. ენდრიხოვსკი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — კ. მენესკუ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა— ა. ა. გრომიკო, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — ი. მარკო.

დღის წესრიგში შეტანილია უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადებასთან დაკავშირებული პრობლემები.

კრაკოვი სწორი გზით

18 თებერვალი. (საკდესი). ქალაქ კრაკოვში გაიმართა ადმოსავლეთ ევროპის ოლქის კომუნისტთა პარტიული აქტივის კრება, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა.

მან ილაპარაკა, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ზეიმით აღნიშვნისათვის, პარტიის მორიგი მე-14 ყრილობისათვის და ხაზი გაუსვა იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს სოციალიზმის მშენებლობის წლებში.

ორატორი შეეხო დიდ მუშაობას, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობამ გასწია 1969 წლის აპრილის შემდეგ და ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პარტიული ბილეთების გამოცვლის კამპანიას და აღნიშნა, რომ ეს კამპანია მოეწყო სწორად და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კონსოლიდაციის პროცესში. შეიძლება ითქვას, განაგრძო მან, რომ უკანასკნელი წელიწადნახევარ-ორი წლის მანძილზე შეეძლოთ შეეგებერულებინა მთავარი ამოცანა — კრიზისული მდგომარეობიდან გამოგვიყვანა ხალხი, პარტია და სახელმწიფო. ჩვენ შევძელით მდგომარეობის ნორმალიზება და კონსოლიდაცია პოლიტიკურ სფეროში, პარტიაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და სხვა უბნებზე, შევქმენით ნორმალური პირობები ხალხის მშვიდი შემოქმედებითი შრომისათვის. ეკონომიკაში ჩვენ დავძლიეთ ინფლაციის ტენდენციები, რომლებსაც შეეძლება საშინაო შედეგები მოჰყოლოდა.

ეს პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პრობლემები უნდა დადგეს მწვავე პოლიტიკური ბრძოლის დროს, პარტიაში მემარჯვენე რევიზიონისტების წინააღმდეგ და საზოგადოებაში ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, უწინარეს ყოვლისა იმპერიალისტური ძალების დიდი ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რომლებსაც ხელი არ აუღიათ და არც იღებენ ხელს იმ საქმეზე, რომ ყოველგვარი შეცდომა გამოიყენონ სოციალისტური საზოგადოების ძირის გამოსათხრელად.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხაზი გაუსვა, თუ რა თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს პარტიისა და სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის პარტიულ დოკუმენტს „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიასა და საზოგადოებაში კრიზისული განვითარების გაკვეთილები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-13 ყრილობის შემდეგ“, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის დეკემბრის პლენუმმა მიიღო. ცხადია, თქვა გ. ჰუსაკმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მომავალი ყრილობა დაადასტურებს დასკვნებს, რომლებსაც ეს დოკუმენტი შეიცავს, რადგან ასეთი კრიზისის შემდეგ, სადამდეც ჩვენი პარტია და მთელი საზოგადოება მიიყვანეს მემარჯვენე ძალებმა, არ შეგვიძლია უბრალოდ გადავაბიჯოთ ჩვენი ისტორიის ამ ეპოქიდან და ისეთი სანე მივიღოთ, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს.

გ. ჰუსაკი შეეხო საგარეო-პოლიტიკურ საკითხებს და აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკია იყო და იქნება სოციალისტური ქვეყნების მტკიცე რგოლი, რომ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან მეგობრობა და თანამშრომლობა ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია.

— ვერა და ვერ მივმხვდარვარ, ვინ სჩადის ამ უფლებას?

„დეილი ვორლდ“, ნიუ-იორკი.

შეერთებულ შტატებში უკვე მრავალი თვეა გრძელდება ანტისაბჭოთა სიონისტურ უწესოებათა და საბჭოთა დაწესებულებების და მოქალაქეების წინააღმდეგ მტრულ გამოდმამათა კამპანია. მთავრობას, რომლის განკარგულებაშია პოლიციელთა უზარმაზარი არმია, „ძალა არ ჰყოფნის“ იპოვნოს და დასაჯოს დამნაშავენი. (ბაზმოვბიდან).

ვაშინგტონი მეწარმეთა საპეგლად

18 თებერვალი. (საკდესი). პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა კონგრესს სთხოვა მიანიჭოს „საგანგებო უფლებამოსილება“, რათა თავიდან აიცილონ რკინიგზელთა საერთო ეროვნული გაფიცვა, რომელიც შეიძლება დაიწყოს 1 მარტს. მაშინ 10 დეკემბერს კონგრესმა კანონმდებლობის წესით ამ დღემდე გადადო უკვე დაწყებული გაფიცვა, რათა ამ ხნის მანძილზე პროფკავშირები და მეწარმენი შეთანხმებულიყვნენ. მაგრამ რკინიგზების მფლობელნი, რომლებსაც აშკარად მთავრობის მხარდაჭერის იმედი აქვთ, უარს ამბობენ დათმობაზე, რის შედეგად კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი პროფკავშირი დღემდე ვერ შეთანხმებია მეწარმეებს.

მუშებისა და რკინიგზების მფლობელთა შრომითი კონფლიქტი უკვე ერთ წელზე მეტია გრძელდება, ამასთან ამ ხნის მანძილზე „ეროვნული ინტერესების“ უზრუნველყოფის საბაბით ხელისუფლებმა ბევრჯერ ჩაშალეს მშრომელთა დაწყებული გაფიცვები. ამას წინათ რკინიგზელებმა განაცხადეს, რომ მორიგი ვადის გასვლის შემდეგ ისინი აპირებენ გაფიცვას. ასეთ პირობებში მთავრობა წინასწარ ცდილობს შეიპაროს კონგრესის მხარდაჭერა, რათა გაამწვანოს მშრომელთა მოქმედება და დაიცვას მეწარმეთა ინტერესები.

ვაშინგტონი

მეწარმეთა საპეგლად

ბუენოს-აირესი

ნეპალის ეროვნული დღესასწაული

18 თებერვალი. (საკდესი). დღეს მეგობარი ნეპალის ხალხი აღნიშნავს თავის დღესასწაულს — ეროვნულ დემოკრატიულ დღეს. 20 წელი გავიდა ამ სამახსოვრო დღიდან, როცა საყოველთაო-სახალხო მოძრაობამ ბოლო მოუღო ფეოდალურ მმართველობას ნეპალში. ამ ხნის მანძილზე ნეპალმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვა.

ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ხორცელდება დიდნიშვნელოვანი გარდაქმნები. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სასურსათო მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 14 პროცენტით და უფრო მეტად.

ნეპალის მთავრობა შეუდგა აგრეთვე სახელმწიფო სექტორში ეროვნული მრეწველობის საფუძვლების შექმნას. სამეურნეო მშენებლობის ამ მთავარ სფეროში მეგობარ ნეპალს უანგარო დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. სსრ კავშირის ტექნიკური და ეკონომიური დახმარებით აქ შენდება ჰიდროელექტროსადგური, სასოფლო-სამეურნეო იარაღის ქარხანა და ბაქრის ქარხანა ბირგანჯში, სიგარეტის ფაბრიკა ჯანკაპურში, საავადმყოფო კატმანდუში.

ამჟამად ნეპალ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის უდიდესი ობიექტია „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ავტომაგისტრალის 109-კილომეტრიანი უბანი.

ნეპალისა და საბჭოთა კავშირის ნაყოფიერი ეკონომიური თანამშრომლობის მტკიცე საფუძველია საერთო თვალსაზრისი ბევრ საერთაშორისო საკითხში. საერთაშორისო ასპარეზზე ნეპალი ახორციელებს მიუმხრობლობის პოლიტიკას.

ბუენოს-აირესი

ნეპალის ეროვნული დღესასწაული

ფრანკფურტი

ხელახალი აღგზრდა „7 მაისის სკოლებში“

პეკინში გაიმართა ეგრეთწოდებული „7 მაისის სკოლების“ წარმომადგენლთა სრულიად ჩინეთის თათბირი. ამასთან დაკავშირებით პეკინის გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ იუწყება, რომ 100 „7 მაისის სკოლაში“ ხელახალ აღზრდას გადის 90 ათასამდე კაცი. ესენი ძირითადად არიან ძველი პარტიელები, გომინდანელთა და იაპონელთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მონაწილენი. ბევრი მათგანი „კულტურული რევოლუციის“ წინა წლებში მუშაობდა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში, ქვეყნის სხვა ცენტრალურ დაწესებულებებში.

პეკინის თათბირთან დაკავშირებით ჩინეთის პრესაში გამოქვეყნებული მასალები ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რას წარმოადგენენ „7 მაისის სკოლები“, რომლებსაც ასე იმიტომ ეწოდებათ, რომ სწორედ ამ დღეს ხუთი წლის წინათ ჩინეთის ხელმძღვანელობამ მორიგი განკარგულება გასცა „კადრების ხელახალი აღზრდის“ შესახებ.

„სკოლების“ უმრავლესობა განლაგებულია ჩინეთის მიყრუებულ რაიონებში, იმ ადგილებში, სადაც „ჟენმინ ჟიბაოს“ თქმით, „ათასწლეულების მანძილზე ადამიანს ფეხი არ დაუდგამს და ნადირსაც კი ვერ შეხვდებიო“. „7 მაისის სკოლებში“ „ხელახალი აღზრდის“ მთავარი მეთოდი ციტატების დაზეპირებასთან ერთად არის მძიმე, დამაუძლურებელი ფიზიკური შრომა.

„7 მაისის“ ერთ-ერთ „საჩვენებელ“ სკოლად ჩინეთის გაზეთი „გუანმინ ჟიბაო“ ასახელებს სკოლას, სადაც უმთავრესად „ხელახალ აღზრდას“ გადიან „კულტურული რევოლუციის“ პერიოდში დათხოვნილი სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის მუშაკები. როგორ არის აქ მოწყობილი „ხელახალი აღზრდა“? „მსმენელები“ უზარუნველყოფილი არ არიან ბინებით, ტანსაცმლით, საჭმელეთით. ისინი მთელ დღე და ღამეს მუშაობენ, რომ როგორმე ლუკმაპური იშოვნონ.

„სკოლაში“ შრომის პირობებზე წარმოდგენას იძლევა გაზეთის მიერ მოყვანილი შემდეგი ეპიზოდი. სკოლის „მსმენელთა“ შორის არის ძველი რევოლუციონერი, ჩანკაიშისტთა ხროვის წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილე. მას ბრალად ედებოდა „რევიზიონიზმში“ იმისათვის, რომ მოითხოვდა მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ამის გამო იგი დღესაც „ბულმოდგინედ ეწევა თავისი მსოფლმხედველობის გარდაქმნას“. „მიუხედავად იმისა, რომ იგი მძიმე განუკურნებელი სენით არის დაავადებული, ყოველ საღამოს სწავლობს მაოს თხზულებებს, დღისით კი ფიზიკურ შრომას ეწევა, — წერს „გუანმინ ჟიბაო“, — საშინელ სუსხში იგი მუშაობს გაყინული წყლით სავსე ხარწყავ არხებში, ზაფხულის სიცხეში კი მარტოდმარტო უღელ კამეჩით ამუშავებს ყანას და კამეჩებისათვის უფრო ზრუნავს, ვიდრე საკუთარი თავისათვის“. გაზეთი კმაყოფილებით აცხადებს, რომ იგი თვითონ „გახდა „7 მაისის სკოლის“ მუშა კამეჩი“.

ეი მეორე „სკოლა“, რომელიც შეიქმნა 1969 წლის იანვარში. აქ, როგორც „გუანმინ ჟიბაო“ წერს, „ხელახალ აღზრდას“ გადიან ჩინეთის ცენტრალურ დაწესებულებათა ყოფილი მუშაკები, რომლებსაც „კულტურული რევოლუციის“ პერიოდში ბრალად დაედოთ „რევიზიონიზმი“. სკოლის „მსმენელები“ ცხოვრობენ ფაცხებში, მიეული დღის განმავლობაში, ქარშიც და წვიმაშიც, მუშაობენ ყანებში, რათა ლუკმაპური იშოვნონ, საღამოობით კი ბრიქის სინათლეზე „სწავლობენ მაოს დიდ დარიგებებს“.

ჩინეთის პრესის ცნობებით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ განსაკუთრებით მძიმე პირობებში არიან იმ სკოლების „მსმენელები“, რომლებიც გათვალისწინებულია ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების „ხელახალი აღზრდისათვის“. ერთ-ერთი ასეთი სკოლა შეიქმნა ხეების სამხედრო ოლქში. ერთი წლის მანძილზე, როგორც „ჟენმინ ჟიბაო“ წერს, „ხელახალი აღზრდა გაიარა“ არმიის 400-ზე მეტმა კადრის მუშაკმა.

სკოლების „აღმზრდელები“ მეტწილად არიან „კულტურული რევოლუციის“ მსვლელობაში თავგამოჩენილი სამხედრო პირნი, რომლებიც ხელმძღვანელობენ ოფიციალური დებულებით: „თუ ტალახში ამოიგანგლები, გული გაგიწითლდება“. ამიტომ მათ საჭიროდ მიაჩნიათ არა მარტო წელში გაწყვიტონ „მსმენელები“, არამედ ყოველნაირად დაამცირონ ისინი.

გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ იუწყება, რომ პეკინში „7 მაისის სკოლების“ წარმომადგენელთა თათბირის მონაწილეებმა არა მარტო „გაუზიარეს ერმანეთს მსმენელთა ხელახალი აღზრდისათვის მუშაობის გამოცდილება, არამედ მიიღეს გადაწყვეტილება გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და გეგმაზომიერად გაგზავნონ მომუშავე კადრის მუშაკები ამ სკოლებში ფიზიკური შრომისათვის“. ეს ნიშნავს, რომ უახლოეს დროში ჩინურ „სკოლა“—ბანაკებს შეემატება ათასობით ადამიანი. (საკდესი).

ჩინეთში

ხელახალი აღზრდა „7 მაისის სკოლებში“

აღვკვეთოთ ანტისაბჭოური პროვოკაციები

ახალი ამბების პრესის საგენტოში გაიმართა მორიგი ტელეფონიული შეხვედრა „მრგვალ მაგიდასთან“, რომელშიც საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი ჯგუფი მონაწილეობდა. „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზატორები ახალი ამბების პრესის საგენტოსთან ერთად იყვნენ საგენტოს ერთ-ერთი დამაარსებელნი—საბჭოთა მწერლების კავშირი, აგრეთვე ჟურნალ „სოვეტიშ გეიმლანდის“ redაქცია, რომელიც მოსკოვში გამოდის იდიშის ენებზე. შეხვედრას თავმჯდომარეობდა მწერალი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. გოფმანი.

შეხვედრის მონაწილეებმა — ჟურნალ „სოვეტიშ გეიმლანდის“ redაქტორმა ა. ვერგელესმა, აკადემიკოსმა ი. მიხცმა, გორლოვკის „კოჩეგარკის“ ბატის საწმენდი სანგრევის მაღაროელმა გ. ლაპიდუსმა, ებრაელთა ავტონომიური ოლქის ვალდგეიმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ეიშჩინეიკინმა, გენერალ-პოლკოვნიკმა დ. დრაგუნსკიმ, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ზიმანასმა და სხვებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აღფოთება სიონისტთა განუწყვეტელი ანტისაბჭოური პროვოკაციების გამო, ამხილეს მათ მიერ გავრცელებული ჭორი საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

„მრგვალი მაგიდის“ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ისრაელიდან ამას წინათ გამოქცეული რეემიგრანტები. მათ ილაპარაკეს „აღთქმულ ქვეყანაში“ ცხოვრების მწარე გამოცდილებაზე, სადაც ყოველნაირ დამცირებას და სასტიკ მოპყრობას იტანდნენ. მათ განაცხადეს, რომ ახალი ემიგრანტების მისაზიდად ისრაელის მთავრობა არ თაკილობს უსაზიზღრეს ტყუილს და ხშირად ისრაელში იწვევს ხალხს დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ნათესავების სახელით.

შეხვედრის დასასრულს მიღებულ გადაწყვეტილება კატეგორიულად დაგმონ სიონისტთა და მათი მფარველთა ბრიკები, რომლებიც ცდილობენ გაამწვანონ ქვეყნების ურთიერთობა, ჩაბოლოს საზოგადოებრიობის ყურადღება ისრაელის აგრესიულ პოლიტიკას, გაამწვანონ საერთაშორისო ვითარება და ჩამოაგდონ შუღლი ხალხებს შორის. „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს „საბჭოთა ებრაელების დასაცავად“ ბრიუსელში მოწვეული პროგოკაციული კონფერენციის წინააღმდეგ და გადაწყვიტეს მოუწოდონ მსოფლიო საზოგადოებრიობას აღკვეთოს სიონისტთა ბრიკები.

მიეძღვნა ლაკა საქართველოს

18 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა კავშირ-პაკისტანის მეგობრობის სახლში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ შექმნის 50 წლისთავს.

ამ მოვლენამ პაკისტანის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. საღამოზე სპაკი ოლმის სტუმარი იყო ცნობილი პაკისტანელი პოეტი ფაიზ აჰმად ფაიზი — „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი.

მეგობრობის სახლის დარბაზში გახსნილია ექსპოზიცია იმ წარმატებების შესახებ, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკამ მოიპოვა 50 წლის განმავლობაში.

ნოვარა

ქართველი გმირის ხსოვნა

18 თებერვალი. (საკდესის კორ.). გუშინ იტალიაში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლებმა იტალიის ქალაქ მეინაში გვირგვინით შეამკეს საბჭოთა მებრძოლის ფორე მოსულიშვილის საფლავი. ფორე მოსულიშვილი წინააღმდეგობის მოძრაობის წლებში იტალიელ პარტიზანთა რიგებში იბრძოდა ნოვარის პროვინციაში და გმირულად დაილუპა ჩატლერელების წინააღმდეგ ერთ-ერთ გაფთრებულ ბრძოლაში. ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობისათვის ფორე მოსულიშვილი დაჯილდოვდა იტალიის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილი მონაწილეები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ნოვარის პროვინციის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე ქართველ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც იტალიაში ჩამოვიდნენ ფორე მოსულიშვილის შესახებ მასალების შესაკრებად.

ნოვარის პროვინციაში დიდი პარტიზანული ზონის ყოფილმა მეთაურმა ამჟამად პარლამენტის დეპუტატმა ერალდო გასტონემ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ჩრდილოეთ იტალიაში წ

საქართველოს ქუა-ბაზარი

საზამთრო ტურისტული ბილიკებით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ზამთრის ტურისტულ სეზონში სამი საკავშირო მარშრუტით, რომლებიც ბაქოდან, ერევნიდან და თბილისიდან იწყება, ქუთაისს უკვე ეწვია 700-ზე მეტი ტურისტი. ისინი ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ლვოვიდან, დონეცკიდან, მინსკიდან, ნოვოსიბირსკიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

ტურისტები ეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, აგრეთვე წყალტუბოს, გელათსა და სათაფლიას. მათს განკარგულებაშია ახლად შეკეთებული საძინებელი კორპუსი, საუკეთესო სასადილო და 10 კომფორტაბელური ავტობუსი.

რვა საკავშირო მარშრუტით წელს ქუთაისს ეწვევა 25 ათასზე მეტი ტურისტი.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲡ

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონში ამჟამად 686 მრავალშვილიანი და მარტოხელა დედა იღებს სახელმწიფოსაგან ყოველთვიურ ფულად დახმარებას. მარტო გასულ წელს მათ ყოველთვიური და ერთდროული დახმარების სახით მიიღეს 42.664 მანეთი.

მრავალშვილიან დედათა ბავშვები პირველ რიგში არიან უზრუნველყოფილნი სბავშვო ბაღებისა და ბაღების მომსახურებით, სამედიცინო დახმარებით.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐ

საქართველოს ხსრ სავაჭრო შემსყიდველი ბაზის თანამშრომელმა ვ. ე. ჭიჭინაძემ გარდაბნის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარმოადგინა სახელმწიფო 3-პროცენტიანი ხელხის 20-მანეთიანი ობლიგაცია (№ 11, სერია 175073), რომელსაც ხვდა მოგება — 5000 მანეთი.

ა. ᲨᲔᲨᲐᲑᲐᲠᲘᲫᲔ,
გარდაბნის რაიონის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე.

ᲠᲝᲕᲜᲝᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲚᲔᲡᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲙᲐᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

როვნო, 16 თებერვალი. (საკ. კორ.). როვნოს ნ. ოსტროვსკის სახელობის მუსიკალურ-დრამატულმა თეატრმა დღეს უჩვენა ქართველი დრამატურგის ამირან შერვაშიძის პიესის „ᲚᲔᲡᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲙᲐᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ“ პრემიერა. თავის ახალი ნამუშევარი კოლექტივმა მიუძღვნა გამოჩენილი რევოლუციონერი პოეტის დაბადების 100 წლისთავს.

სპექტაკლი ასახავს ლესია უკრაინკას თბილისში გატარებული ცხოვრების პერიოდს, მის მონაწილეობას უკრაინელი და ქართველი ხალხების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რევოლუციურ ბრძოლაში.

ᲐᲮᲚᲐ, თითქოს შეიძლებოდა დასვენება. მაგრამ 53 წლის პოლკოვნიკმა ს. გ. ფიჩხაძემ სხვაგვარად განსაჯა: გავიდა თუ არა თადარიგში, მშენებელი გახდა უკადურეს ჩრდილოეთში, ტაიმირის ნახევარკუნძულზე, აშენებს ჩვენი ქვეყნის ფერადი მეტალურგიის უდიდეს „ოკტიაბრსკის“ მაღაროს.

რას მიქვია დასვენება!..

ᲐᲮᲚᲐ ᲘᲒᲘ ᲢᲐᲚᲜᲐᲮᲨᲘᲐ. ეს არის ამავე სახელწოდების პატარა მდინარეზე აგებული ახალი მუშათა დაბა. ტალნახი დალგანურ ენაზე „აკრძალულს“ ნიშნავს. საუკუნეების მანძილზე ეს ადგილები ავი სულების სამფლობელოდ მიაჩნდათ, სანამ გეოლოგებმა არ გაფანტეს ეს ზღაპარი. ათი წლის წინათ მათ აქ აღმოაჩინეს მსოფლიოში უდიდესი სპილენძ-ნიკელის მადნის მდიდარი საბადოები.

გეოლოგების შემდეგ ტუნდრაში მშენებლები მოვიდნენ. სკკპ 23-ე ყრილობისათვის ტალნახის პირმშომ „მაიაკის“ მაღაროს ნორილსპელ მეტალურგებს გაუგზავნა მდიდარი მადნით დატვირთული პირველი ეშელონი. მალე ეშელონების თვლა აღარ იყო. „მაიაკიდან“ რამდენიმე კოლომეტრზე ამ დროისათვის შენდებოდა მეორე მაღარო „კომსომოლსკი“. მის მადანს მეტალურგები პარტიის XXIV ყრილობის გახსნის დღის მიიღებენ. ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის კოლექტივმა, როგორც ნათქვამია ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში, მნიშვნელოვნად უნდა გააფართოოს სპილენძისა და ნიკელის წარმოება.

„ოკტიაბრსკის“ მაღარო — ეს არის ხუთი სამშენებლო მოედანი, რომლებიც ერთმანეთისაგან ხუთხუთ კილომეტრზე არიან დაშორებული. სამშენებლო სამმართველო, სადაც უფროსის მოადგილედ დანიშნულია ს. გ. ფიჩხაძე, წელს აითვისებს 48 მილიონ მანეთ კაპიტალურ დაბანდებას. ჯერჯერობით კი სამმართველო განლაგდა თორმეტ პატარა ტიპობრივ ვაგონში, რომლებიც სახელდახელოდ კაბინეტებად გადააკეთეს.

საცხოვრებელი შენობები მომავალ მაღაროს ჯერჯერობით არა აქვს. ცუდი გზებია, რომლებსაც ხშირად ნამქერი ფარავს. თადარიგის პოლკოვნიკი სამუშაოზე დადის ავტობუსით მშენებლებთან ერთად. ყოველდღიურად გზას აქეთიქით სამ საათს ანდომებს. ჩამოვა თუ არა, მაშინვე მიიჩქარის მაღაროს ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსისაკენ. სამსართულიანი აგურის შენობა, რომელსაც ეშენება სამხატვრები, გასახდელები, მუდმივი სასადილო, დამთავრებულ ვადაზე ადრე — XXIV ყრილობის გახსნის დღისათვის. ამით დაინტერესებული არიან მაღაროელებიც, რომლებმაც უკვე დაიწყეს ხუთი ვერტიკალური ჭაურის გაყვანა, და თვით მშენებლებიც. მოკლე დროში ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსი უმთავრესი ობიექტი გახდა, და ფიჩხაძე აქ უყურადღებოდ არ ტოვებს არავითარ წვრილმანს, პირადად რაზმავს მუშებს, უნაწილებს უბნებს ბრიგადებს, ამარაგებს მათ მასალებით.

**არც სამუშაოს დამთავრების შემდეგ მიიჩქარის შინ. მშენებელთა საერთო საცხოვრებელში პოლკოვნიკს ელოდებიან ჯარისკაცები, რომლებიც ასევე თადარიგში გავიდნენ. ისინი ადგილზეა ჩრდილოეთში ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ შეებრძოლონ მარადიულ გაყინულობას, [illegible] ... ამ სურვილის ... ეს ... ...